საქართველოს მელიორაცია
GEORGIAN AMELIORATION

+995 032 00 10 00
info@ag.ge
www.ag.ge

N გ-3952
11/10/2023

3952-გ-2-202310111800

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ დიმიტრი ზურაბიშვილს

ბატონო დიმიტრი,

შპს „საქართველოს მელიორაციაში“ შემოსულია მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 27 სექტემბრის 34-3423270227 წერილი რომელშიც დასმულია საკითხი, მოქალაქე როლანდ ცანავას განცხადების საფუძველზე, მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ ნატახტარში არსებული ქონების (ს/კ 72.03.26.333) შესყიდვის შესახებ.

გაცნობებთ, რომ მცხეთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ნატახტარში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ 72.03.26.333) გადის ლამი-მისაქციელის მაგისტრალური არხის გ-11 გამანაწილებელი (ს/კ 72.00.630), რომლის გასხვისების ზოლი „სამელიორაციო სისტემების ნაგებობებისათვის მიწის ზოლებისა და ნაკვეთების მიჩენა-გასხვისების საამშენებლო ნორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის მინისტრის 30.06.2003 წლის N19 ბრძანების შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში შეადგენს არხის ბერმიდან 4-4 მეტრს ორივე მხარეს, რაც საკადასტრო გეგმით მიხედვით დარღვეულია.

აღნიშნულიდან გამომდინარე შემდგომში მიწის ნაკვეთის რაიმე ფორმით გასხვისების შესაბამის ხელშეკრულებაში გათვალისწინებული უნდა იქნას გასხვისების ზოლების დაცულობა. ასევე, დაცული უნდა იყოს საქართველოს მთავრობის 31.12.2013 წლის N409 და N440 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები, რათა ხელი არ შეეშალოს სამელიორაციო სისტემების გამართულ ტექნიკურ ექსპლუატაციას.

ყოველივე ზემოთხსენებულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოხდეს საკადასტრო გეგმის დაკორექტირება გასხვისების ზოლების გათვალისწინებით, ან/და დატვირთული იქნას სერვიტუტით.

პატივისცემით,